# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 14 სექტემბერი 2007 №212 (3135) ფასი 50 თეთრი


## სხვა თვალი
### დღეს-ხვალ ეროვნული გამოცდებია

სანაკრებო დღეები დასრულდა და ვბრუნდებით ეროვნულ ჩემპიონატში, სადაც დღეს-ხვალ მეხუთე ტურის შვიდი მატჩია. საკმაოდ ძნელადპროგნოზირებადი თამაშები გველის, რაკიღა თითქმის ყველა ფავორიტს გასვლითი შეხვედრა აქვს. აბა, ვინმე ხელაღებით იტყვის, რომ „ამერი" ბორჯომში, ან „ვიტ ჯორჯია" ბოლნისში მოიგებს? დაძაბულობა იქით იყოს და, კიდევ იმით ხდება ჩვენი ჩემპიონატი საინტერესო, რომ კლაუს ტოპმიოლერი ადრე თუ ამბობდა, აქაური თამაშების ნახვა დროის ფუჭი ხარჯვააო, ახლა ბლომად ფეხბურთელი გამოიძახა ეროვნულიდან ეროვნულ ნაკრებში და აკი, უკრაინასთან და აზერბაიჯანთან ათამაშა კიდეც ისინი. მოკლედ, სტიმულმა იმატა და მთავარია, დონემაც იმატოს.

**დღეს**

**ლოკომოტივი — მგლები**
**სიონი — ვიტ ჯორჯია**
**ოლიმპი — მესხეთი**
**დილა — ზესტაფონი**

**ხვალ**

**მერანი — ბათუმი**
**სპარტაკი — დინამო**
**ბორჯომი — ამერი**





## მუშტიანი ამბავი
### ლუიშ ფელიპე სკოლარის მოქნეულს უეფა გაზომავს

ლუიშ ფელიპე სკოლარის უეფას სადისციპლინო კომიტეტთან თავის მართლება მოუწევს. საქმე ისაა, რომ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელმა ოთხშაბათს „ჟოზე ალვალადეს" არენაზე გამართული მატჩისას ნერვები ვერ მოთოკა და სერბეთის ეროვნული გუნდის ფეხბურთელს, ივიცა დრაგუტინოვიჩს, ცხვირში მუშტი სთხლიშა...

დრაგუტინოვიჩმა ბრაზილიელისთვის ხურდის დაბრუნება ვერ შეძლო — სერბი მცველი გააკავეს.

სკოლარი მაშინ გაცოფდა, როცა გერმანელმა არბიტრმა მარკუს მერკმა ბრანისლავ ივანოვიჩის მიერ თითქოს თამაშგარედან გატანილი გოლი ჩათვალა და ტაბლოზე საბოლოო ანგარიში, 1:1 დააფიქსირა.

სკოლარი და დრაგუტინოვიჩი რაღაცაზე წაკამათდნენ და მერე ფიცხმა „ფელიპაომ" „სევილიას" უკანახაზელს მუშტი გაუქანა.

ბრაზილიელ მწვრთნელს უეფას სადისციპლინო კომიტეტი, სავარაუდოდ, მკაცრ სასჯელს აჰკიდებს. სკოლარი კი იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ ყველაფერი მსაჯის ბრალია.

„რაც მოხდა, ყველაფერში არბიტრია დამნაშავე. სერბეთმა გოლი თამაშგარედან შეაგდო, მერკმა კი ეს არ დააფიქსირა. ეს მსაჯი ყოველთვის პორტუგალიის მტერი იყო და ჩვენს ჩაძირვას ცდილობდა. დრაგუტინოვიჩისთვის კი არ დამირტყამს, უბრალოდ, მინდოდა, ეს ფეხბურთელი ჭკუაზე მომეყვანა, რადგანაც რიკარდო კვარესმას ცემას უპირებდა" — განაცხადა „ფელიპაომ".

სერბეთის ნაკრების მწვრთნელმა ხავიერ კლემენტემ კი მოკლედ მოჭრა: „სკოლარი სამარცხვინოდ მოიქცა, იმედია, უეფა სამაგალითოდ დასჯის. ვინც წაგება არ იცის, სამუშაო უნდა დაატოვებინონ!"











**ლადო ხომერიკი**

# უფროსი უმცროსებთან

## ლევან ცქიტიშვილი: საქართველო გამორიცხულია

აზერბაიჯანთან ოთხშაბათის ამხანაგურ მატჩში ჩვენებიდან ყველაზე გამოცდილი ლევან ცქიტიშვილი იყო და გუნდიც სათამაშოდ სწორედ მან გაიყვანა. კონკრეტულად ერთი შეხვედრისთვის გაახალგაზრდავებულ-სახეცვლილ ნაკრებში ცქიტიშვილი მწვრთნელებს ადრე ეგებ არც გამოეძახათ, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა — ახალ სეზონს ლევანი უგუნდოდ შეხვდა და მხოლოდ ნაკრებში თამაშობს, თუმცა ფორმის შენარჩუნებას თბილისის „ლოკომოტივში" ვარჯიშითაც ცდილობს...



— დღესდღეობით „ლოკომოტივთან" ერთად ვარ, სათამაშო კონდიციების შენარჩუნება მსურს და იმედი მაქვს, მალე ისევ უცხოეთში თამაშის საშუალება მომეცემა. იქამდე კი, ვიდრე წავალ, გამოცდილებას „ლოკომოტივის" ფეხბურთელებსაც ვუზიარებ. ამ გუნდში ჩემი დროებით ყოფნა, ვფიქრობ, ბიჭებისთვისაც სასარგებლოა და თავისთავად ჩემთვისაც. „ლოკომოტივს" მადლობა, გუნდთან ვარჯიშის უფლება რომ მომცა.

— გამორიცხულია, საქართველოს ჩემპიონატში გააგრძელო კარიერა?

— ახლა გამორიცხულია, მერე — ვნახოთ.

— აბა რას აპირებ?

— თბილისში კიდევ რამდენიმე დღით დავრჩები, ამასობაში კი უცხოურ კლუბებთან მოლაპარაკებებიც დასრულდება. ტრანსფერზე აგენტები მუშაობენ და იმედი მაქვს, ახალ გუნდში გადასვლამდე დიდხანს ლოდინი არ მომიწევს.

— უგუნდოდ მყოფს სანაკრებო მატჩებში არ გაგიჭირდა?

— როგორ გითხრათ, მგონი, მთლად ურიგო ფორმაში არ ვარ. ვფიქრობ, ბოლო სამი შეხვედრა ნორმალურად ჩავატარე, მწვრთნელს პრეტენზიები არ ჰქონია და უკრაინის გარდა, არც ისეთი მეტოქეები გვყავდა, ვთქვა, თამაში გამიჭირდაო.

— ძლიერები არ იყვნენ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მოიგეთ...

— ცხადია, სამწუხაროა, ლუქსემბურგსა და აზერბაიჯანს რომ ვერ მოვუგეთ. ამათთან და უკრაინასთანაც გვმართებდა მოგება, მაგრამ... ისე, არც ის დაგვავიწყდეს, რომ ამ ბოლო მატჩებისთვის მწვრთნელებმა ახალი ფეხბურთელები გამოიძახეს და თავის გამოჩენის საშუალება მისცეს. ეს ბიჭები ეროვნულ გუნდს ნელ-ნელა შეეჩვევიან. მომავალი შესარჩევი ციკლისთვის კი ამ და სხვა ახალი ფეხბურთელების იმედი უნდა გვქონდეს.

— მაგალითად, ბაქოში ბევრი დებიუტანტი იყო. როგორია შენი აზრი?

— ვერც ერთზე ვიტყვი, თამაში ჩააგდო ან კიდევ უგულო იყოო. სხვა საქმეა, თამაში როგორ გამოუვიდათ, მონდომებასა და ბრძოლის სურვილს კი მათ კაცი ვერ დაუკარგავს. ამ ბიჭებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და საქმეს ასეთივე მონდომებით თუ გააგრძელებენ, ნაკრებში ალბათ კიდევ უფრო ხშირად დაუძახებენ. რაც მთავარია, მათ თავის გამოჩენისა და შესაძლებლობების დამტკიცების საშუალება უკვე მიეცათ. დანარჩენი მწვრთნელმა იცის, ვის მეტად ენდობა, ვის ნაკლებად, მომავალში გამოჩნდება. თავად კი მათზე კარგი წარმოდგენა მაქვს.

— მომავალ მატჩებში ეროვნული გუნდისგან რას ველოდოთ?

— ქულებს. ვეცდებით, რომ შესარჩევი ციკლი, რაც შეიძლება, მეტი ქულითა და მოგებით დავამთავროთ...

— ისე, საქართველომ უკრაინას ევროპის ჩემპიონატი უკვე დაავიწყა, წინ კი იტალიასთან და შოტლანდიასთან მატჩებია. ისინი ჯგუფის ფავორიტები არიან...

— გახსოვთ, ამ გუნდებთან საქართველომ როგორ ითამაშა?! ორივეს დამარცხება შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა და ორივე მატჩი წავაგეთ. უკრაინასთან კიევური შეხვედრაც ხომ გახსოვთ, მეტოქეს სამი ქულა ვაჩუქეთ, მაგრამ თბილისში უკვე სხვანაირად იყო. მოკლედ, რომ ვთქვა, იტალია და შოტლანდია ჩვენთან უეჭველ ქულებს ნუ დაგეგმავენ, საქართველოს ნაკრებს მათთან კარგად და ტოლ-სწორად თამაში შეუძლია.

**ქობა ინასარიძე**




# ექო ბაქოდან

## დინიევმა ასათიანი თქვა, საქართველომ უკმაყოფილება

**ისევ 1:1**, ამჯერად უქულო ამხანაგური ფრე ითამაშა საქართველოს ნაკრებმა.

კლაუს ტოპმიოლერის გუნდმა მიჯრით მეხუთე მოუგებელი მატჩი ჩაატარა და ნუგეშად ისევ ის, რომ ჩვენმა ნაკრებმა დებიუტანტებით სავსემ ითამაშა აზერბაიჯანთან.

და რას წერს აზერბაიჯანული პრესა?

თურმე, მთელი მატჩის განმავლობაში გულშემატკივრები აზერელთა მწვრთნელის, შაჰინ დინიევის გადადგომას ითხოვდნენ.

„ძნელია, როცა ქომაგები შენს სახელს ცუდ კონტექსტში სკანდირებენ, მაგრამ მე ისლა დამრჩენია, წყნარად გავაგრძელო მუშაობა. საქართველო, თუნდაც მეორე შემადგენლობით, ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით კი მალხაზ ასათიანს გამოვარჩევ. ის საუკეთესო იყო მინდორზე, ჩამშლელადაც კარგად თამაშობდა და შეტევაშიც ერთვებოდა. გამოცდილება ბევრს ნიშნავს, ასათიანი კი სწორედ ასეთია" — თქვა შაჰინ დინიევმა.

მალხაზ ასათიანი: „საინტერესო თამაში იყო, მაგრამ მეტოქეს მაგრად დავეხმარეთ. აზერბაიჯანელთა გოლი ჩვენვე გავიტანეთ საკუთარ კარში".

ოთარ ხიზანეიშვილი: „კარგად ვითამაშეთ და სასარგებლო სპარინგ-მატჩი გამოდგა. შედეგით კმაყოფილები არ ვართ, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ მეორე შემადგენლობით ვიყავით".

დიმიტრი ტატანაშვილი: „ორი თანაბარი გუნდი იყო მინდორზე, თუმცა მეორე ტაიმში ჩვენ გვქონდა უპირატესობა. რაც შეეხება ჩემს გოლს, ფაქტია, რომ მეტოქის მცველთა შეცდომა ძალიან დამეხმარა".

ალექსანდრე კვახაძე: „სიმართლე გითხრათ, ჩვენი გუნდის თამაში არ მომეწონა. ოპტიმალური შემადგენლობა რომ გვყოლოდა, იოლად მოვიგებდით".

ლევან ყენია: „სასიამოვნოა, რომ კლაუს ტოპმიოლერი კმაყოფილი დარჩა ჩემი თამაშით, მე კი არ ვეთანხმები — უკეთ შემეძლო, უკმაყოფილო ვარ".

**ილია ნანობაშვილი**



ალექსანდრე კვახაძის (მარცხნივ) პირველი სანაკრებო მატჩი

# ვიტალი დარასელია მოლდოვაში წავიდა




**ვიტალი დარასელია** მოლდოვურ „დაჩიაში" გადავიდა. ეს ის კლუბია, რომელშიც სულ ახლახან რუსთავის „ოლიმპის" ფორვარდი ჯაბა დვალი გადაბარგდა, ხოლო წინა სეზონის მცირე პერიოდში „დაჩიაში" ლადო ახალაიაც გახლდათ.

28 წლის დარასელია ახლა კარიერის გადარჩენას ცდილობს — ივო შუშაკის დროინდელ თბილისის „დინამოში" რომ იყო, სადღაა ისეთ ფორმაში. ვიტალი ბოლოს „სიონში" თამაშობდა, მანამდე კი ექვსი თვე ყარაგანდის „შახტიორში" გაატარა.

მოლდოვაში „შერიფია" უძლეველი და „დაჩია" მას ვერც შეედრება, თუმც სუეფასთასო ზონაში ტრიალებს ხოლმე.

**ილია ნანობაშვილი**

# 18 სექტემბერს მეორე ტური დამთავრდება

**თბილისის** „დინამო" და ბოლნისის „სიონი" მეორე ტურის გამოტოვებულ მატჩს თბილისში 18 სექტემბერს ითამაშებენ.

ეს შეხვედრა 19 აგვისტოს უნდა გამართულიყო, თუმც დინამოელებმა უეფას თასზე ვენის „რაპიდთან" თამაშის გამო ითხოვა გადადება.

მეექვსე ტურის „მგლები" — „დინამო" კი 23 სექტემბრის ნაცვლად 22-ში შედგება.

აქვე ერთიც: პროფლიგის ცნობით, სექტემბერში უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩები 16 საათზე დაიწყება.

**ნუგზარ ლოლაძე**

### ინგლისი

კონფერენსლიგა. გადადებული მატჩი

ფორესტ გრინი 0:3 სალისბერი

### შვედეთი

სუპერეტა. XXIII ტური

ბუნკეფლო 1:1 ატვიდაბერგი

ჰეკენი 4:1 იორგრიტე

ლანდსკრონა 1:1 სუნსვალი

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა

გადადებული მატჩები

ტურკუ 2:1 ჰაკა

ვიიკინგიტი 3:3 ტამპერე

თასი

VII ეტაპი

ჰონკა 4:0 კუუსანკოსკი

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 5 ტური



თბილისი. 14 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი

**ლოკომოტივი — მგლები**

მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, ი. უკლება, ა. ნონიკაშვილი

გორი. 14 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, ზვ. ასკაროლლი

ბოლნისი. 14 სექტემბერი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, დ. სანაია

რუსთავი. 14 სექტემბერი. 16 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — მესხეთი**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ერქვანია, ი. ურუშაძე

გორი. 15 სექტემბერი. 16 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**სპარტაკი — დინამო**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ლ. მიქელაძე, კ. გაბრიაძე, ვ. ელისაბედაშვილი

ბორჯომი. 15 სექტემბერი. 16 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ამერი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, შ. ქუხილავა, ზ. ჯვარიძე, კ. ჭაჭუა

თბილისი. 15 სექტემბერი. 16 საათი. მერანი

**მერანი — ბათუმი**

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, კ. გაბრიაძე, ა. კოკაია, მ. მაისურაძე

# გაფრთხილდით, ფავორიტები ჩამოდიან!

საქართველოს ჩემპიონატის გარეშე თუ მოიწყინეთ, დიდხანს ლოდინი არ მოგიწევთ — დღეს მეხუთე ტური იწყება.
უკრაინა-აზერბაიჯანთან სანაკრებო ფრეები ბევრს გულს დასწყვეტდა, ნაგებებს შეჩვეული ზოგიერთი გულშემატკივრისგან კი ისიც გავიგეთ, რა გინდათ, ნაკრები აღარ აგებს, აბა, გაიხსენეთ, ბოლოს ასე როდის იყო...
მოკლედ, ახლა სჯობს, მეხუთე ტურის გარშემო ვიტრიალოთ: კარგია, რომ ჩემპიონატი დაგვიფასა კლაუს ტოპმიოლერმა და რამდენიმე „აქაური“ ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში ათამაშა.
ამ ტურის შვიდი მატჩიდან რომელიმე ერთის გამორჩევა ძნელია, რაკილა ჩემპიონობაზე მზრუნავი გუნდები ერთმანეთს არ ხვდებიან.
და ერთიც, ფავორიტად მიჩნეული ყველა გუნდი სტუმრად თამაშობს...

## ეროვნულმა ეროვნული გამოსცადა და ბრუნდება

**ლოკომოტივი — მგლები**

თბილისის „ლოკომოტივი“ის გუნდია, პირველ ტურში „ამერს“ სენსაციურად რომ სძლია და მერე ზედიზედ სამჯერ წააგო, აქედან ერთი 0:5-იც მოახერხა ზესტაფონში.

გიორგი კიკნაძის გუნდს არ ეყოლება ორყვითელბარათიანი ლევან ყენია, რომელიც ქართულ ფეხბურთში უკვე ხმაურიან თემად იქცა, არადა, ჯერ მხოლოდ 17 წელიც არ შესრულებია.

ყენიას მინდვრიდან გასვლა გუშინწინ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დაეტყო და „ლოკომოტივს“ როგორ დაეტყობა, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

„მგლები“ კი საშინაო გუნდი ჩანს, შინ ორიდან ორი მოიგო, სტუმრად კი საპირისპირო შედეგი აქვს. კარგი იქნებოდა ყენიასა და აკაკი დევაძის დუეტი, რაკილა მამა-შვილის ტოლა განსხვავებაა ასაკში, მაგრამ ლევანის მსგავსად, ვერც დევაძე იქნება: ტრავმა აწუხებს.

**დილა — ზესტაფონი**

თემურ მახარაძის „ზესტაფონი“ ჩემპიონატის ლიდერად ჩავა გორში, სადაც, წესით, არ უნდა გაუჭირდეს სამი ქულის აღება.

ზემოთ „ლოკომოტივზე“ რომ ვთქვით, „დილაც“ ამ დღეშია: პირველ ტურში მოიგო და მერე სულ მარცხდება. ერთი კია, მამუკა ვარდოსანიძის გუნდმა ყველა თამაშში ბოლომდე იბრძოლა.

„ზესტაფონი“ კი გოლების იმტაზეა: წინა ტურში „ლოკომოტივს“ ხუთი ნაირნაირი გაუტანა, ფორმაში არიან ზურაბ იონანიძე, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე, გოგი ფიფია, ბექა გოცირიძე, ჟილვან ვიეირა...

**სიონი — ვიტ ჯორჯია**

შარშან არა და შარშანწინ და იმის წინა წლებში ამ გუნდების ჯახი მშვენება იყო, ახლა კი „სიონი“ ვერაა ამბიციური, სუსტი შემადგენლობით ცდილობს ფონს გასვლას და წლეულს მხოლოდ არგავარდნაზე თუ იფიქრებს, თორემ საევროპოდ ფეხი ვერ მიუწვდება.

„ვიტ ჯორჯია“ კი 10 ქულით მეორე ადგილზეა. ნესტორ მუმლაძის გუნდი სულ ერთი ბურთის სხვაობით, მაგრამ მაინც იგებს, თანაც ვიტელებს არც კალენდარი ჰქონიათ ადვილი, რაკილა სტუმრად — „ზესტაფონს“ და შინ „ოლიმპს“ შეხვდნენ.

ისე, „ოლიმპს“ რამდენიმე დღის წინ „სიონიც“ ეთამაშა, ოღონდ ამხანაგურად და ბოლნისელებმა 2:1 მოიგეს.

**ოლიმპი — მესხეთი**

ოთხ თამაშში ექვსი ქულა ვერაფერი დასაწყისია ჩემპიონი გუნდისთვის, ჰოდა, „ოლიმპი“ რომ კბილებალესილი დაუხვდება „მესხეთს“, თქმა არ უნდა.

ანატოლი პისკოვეცის ხელში რუსთაველები უკეთეს, დალაგებულ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობენ, კარგი ფორმა აკრიფა ფორვარდმა რევაზ ჯიქიამ, ჯანზე არიან რევაზ გეწაძე და გიორგი ნავალოვსკი. ასე რომ, მესხებს გაუჭირდებათ.

თუმც ახალციხელებმა ერთხელ უკვე მოიგეს ალმოსავლეთში: „ლოკომოტივს“ სძლიეს და საერთოდაც, ცხრილს ჩავხედოთ და ვნახავთ, რომ „მესხეთი“ მესამე ადგილზეა.

**ბორჯომი — ამერი**

შაბათს ყველაზე საინტერესო მატჩი სამცხეში უნდა იყოს: „ბორჯომი“ და „ამერი“ ერთად გადმოვიდნენ უმაღლეს ლიგაში და ორი წელიწადია, ერთმანეთს შინ უგებენ, სტუმრად კი აგებენ.

გიორგი ჩიხრაძის გუნდმა მძიმედ დაიწყო ჩემპიონატი, უკვე 6 ქულა დაკარგა და ნამეტანი აღარ უნდა მოუვიდეს, თორემ მერე საჩემპიონო რბოლაში გამოდევნება გაუძნელდება.

„ბორჯომს“ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავს, „ამერს“ კი, მეტი გამოცდილება რაღა, დიმიტრი ტატანაშვილი, გრიგოლ დოლიძე, დავით ბოლქვაძე და გიორგი დეკანოსიძე ხომ ეს დღეები ეროვნულ ნაკრებში იყვნენ.

**მერანი — ბათუმი**

თამაზ კოსტავა კვლავ შეუძლოდაა და ნაღდად არ ეფეხბურთება, „მერანს“ დავით ეჯიბიშვილი თავკაცობს და ვინძლო, პირველი ქულა (ან ქულები) მან მოუტანოს გუნდს. „მერანს“ ქულა კი არა, გოლის გატანაც სანატრელი აქვს და „ბათუმიც“ ასე იყო წინა ტურამდე, სანამ „ბორჯომს“ 1:1 ეთამაშა.

მწვრთნელის პრობლემა ზღვისპირელებსაც აქვთ: ამირან გოგიტიძე დისკვალიფიცირებულია და სათადარიგოთა სკამიდან ვერ უხელმძღვანელებს გუნდს.

**სპარტაკი — დინამო**

„დინამო“ ერთადერთი გუნდია ჩემპიონატში, ჯერ ქულა რომ არ დაუკარგავს და გაგვიკვირდება, დღეს რომ დაუცდეს ფეხი. დუშან უჰრინის გუნდს აღარ ჰყავს გამორჩეული გამტანი ფორვარდი, თუმც კარგ ფორმაშია გიორგი მერებაშვილი, ვინც წინა ტურშიც შეაგდო. ცხინვალის „სპარტაკმა“ კი 5 ქულას მოუკრა პირი, რაც მოუმზადებელი გუნდისთვის კარგი შედეგია.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| მესხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ამერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ოლიმპი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| მგლები | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| ბორჯომი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| დილა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:6 | 3 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| ბათუმი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:4 | 1 |
| მერანი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:6 | 0 |

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

**საფრანგეთი 0:1 შოტლანდია**

0:1 მაკფადენი (64)
საფრანგეთი: ლანდრო, ლ. დიარა, ტიურამი, ესკუდე, აბიდალი (ბენზემა 77), რიბერი, ვიეირა (ნასრი 69), მაკელელე, მალუდა, ტრეზეგე, ანელკა
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
შოტლანდია: გორდონი, ჰატონი, მაკმანუსი, ვეირი, გ. ალექსანდერი, მაკკალოხი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი (პირსონი 26), ს. ბრაუნი, ჰარტლი, მაკფადენი (ოკონორი 76)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: ვიეირა (22), ფლეტჩერი (24), ჰარტლი (58), ნასრი (74)
მსაჯი: კონდრად პლაუცი (ავსტრია)
42 000 მაყურებელი

## ახალი სისხლი კი არა, მამაცი სისხლი!
## ცხრილის თავს შოტლანდია ჰქვია


AFP
ასე ზეიმობენ სქოთები

**ამ გუნდების** პირველი მატჩი შოტლანდიაში მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. ბევრის გასაკვირად, სქოთებმა პარიზში, „პარკ დე პრენსზეც“ იმავე ანგარიშით იმარჯვეს, ფრანგებს პირველობა ჩამოართვეს და ცხრილის სათავეში თავად წამოსკუპდნენ.

წინა მატჩისგან განსხვავებით რაიმონ დომენეკმა ერთადერთ, იძულებით შეცვლას მიმართა — დისკვალიფიცირებული ტიერი ანრის ნაცვლად დავიდ ტრეზეგე ათამაშა, მაკლიშმა კი, ლიტვასთან მატჩისგან განსხვავებით, ერთბაშად ოთხი ახალი ფეხბურთელი დააყენა სასტარტოში და, ალბათ, არც უნანია.

პირველი ტაიმის მიმდინარეობით მატჩს სენსაციისა არაფერი ეტყობოდა — ფრანგები დიდ უპირატესობას ფლობდნენ და ლალადაც თამაშობდნენ. საგოლე მომენტი კი სულ ორი შექმნეს: ჯერ ტრეზეგემ ააცილა ახლოდან, შემდეგ კი ფლორენ მალუდას 20 მეტრიდან გასროლი კრეიგ გორდონმა მოიგერია.

„მამლებს“ მეორე ტაიმის დასაწყისშიც ორჯერ მართებდათ გატანა. თავდაპირველად ტრეზეგემ ფრანკ რიბერი მეკარეს პირისპირ შეჰყარა, მაგრამ გორდონმა იმარჯვა. მალევე იმავ გორდონმა ნიკოლა ანელკას „მკვდარი ბურთი“ აუღო.

გორდონი დარტყმებს ხომ გაუმკლავდა და თავი საგოლე პასითაც მოიწონა — მისი გრძელი გადაცემა ჯეიმს მაკფადენმა მეტოქის კარიდან 25 მეტრში მიიღო და მიკაელ ლანდროს ცხრიანში გაუტანა. მეკარემ ბურთს თითები კი წაატანა, მაგრამ მიმართულება საკმარისად ვერ შეუცვალა.

აგერ უკვე ზედიზედ მეორე მატჩია, მაკფადენს შოტლანდიელთათვის საჭირო გოლი გააქვს, ფრანგებმა კი ხუთმატჩიანი მშრალი სერია შეწყვიტეს.

გაშვებული გოლის შემდეგ ფრანგები მეტოქის კარს მიეძალნენ. დომენეკმა მოედანზე ახალი სისხლი შეუშვა და გატანაც სწორედ მათ მართებდათ — კარიმ ბენზემას დარტყმული მცველს მოხვდა, ხოლო სამირ ნასრის მეკარემ აუღო.

რაიმონ დომენეკი: შოტლანდიელებს ძალიან გაუმართლათ. მათი მეორე დარტყმული კარში გავიდა, ჩვენ კი უამრავი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ჩემმა ფეხბურთელებმა ყველაფერი სწორად გააკეთეს, მაგრამ არის დღეები, როდესაც არ გიმართლებს. ახლა ისღა დაგვრჩენია, მომდევნო სამ მატჩში 9 ქულა ავიღოთ.

ალექს მაკლიში: რთული მატჩი იყო. ჩვენ კვალიფიციური გუნდის წინააღმდეგ ვთამაშობდით. ბიჭებმა ყველა დავალება პირნათლად შეასრულეს. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. მათ მძიმე შრომა დაუფასდათ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ფრთხილად, კარები იკეტება!

**უკრაინა 1:2 იტალია**

0:1 დი ნატალე (42), 1:1 შევჩენკო (71), 1:2 დი ნატალე (77)
უკრაინა: შოვკოვსკი, კუჩერი, რუსოლი, ეზერსკი, ტიმოშჩუკი, შელაევი, გაი, კალინიჩენკო (ვორონინი 61), გუსევი (მილევსკი 88), ნაზარენკო (გლადკი 63), შევჩენკო
მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი
იტალია: ბუფონი, პანუჩი, კანავარო, ბარძალი, ძამბროტა, კამორანეზი (ოდო 78), პეროტა (აკვილანი 69), პირლო, ამბროზინი, იაკინტა, დი ნატალე
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: კანავარო (29), პეროტა (47)
მსაჯი: ჰოვარდ უები (ინგლისი)
41 500 მაყურებელი

**ანტონიო დი ნატალეს** წყვილმა გოლმა იტალიას სამი ქულა და მეორე ადგილი მოუტანა.

იტალიელებმა ამ მატჩში სულ ორი სახიფათო მომენტი შექმნეს და ასი პროცენტით გამოიყენეს. უკრაინა კი სანუკვარ მეორე ადგილს უკვე 7 ქულით დაშორდა და ავსტრია-შვეიცარიის კარი მისთვის თითქმის უკვე დაიკეტა.

არადა, უკრაინელებს თითქოს წასაგები არაფერი ჰქონდათ, საგოლე მომენტებიც მრავლად შექმნეს, თუმც კლასით და ოსტატობით ვერ აჯობეს მეტოქეს.

ოლეგ ბლოხინმა მოედანზე გუნდი სამი მცველით და ერთი თავდამსხმელით გაიყვანა. შეტევაში ეულ ანდრეი შევჩენკოს აქტიურად ეხმარებოდნენ სერგეი ნაზარენკო, მაქსიმ კალინიჩენკო და ოლეგ გუსევი. იტალიელებსაც მეტოქის ნახევარზე გადასვლა უჭირდათ.

უკვე მესამე წუთზე შევჩენკომ სახიფათო ჯარიმა დაარტყა, მაგრამ ჯიჯი ბუფონი ხარიხამ იხსნა. შევამ კიდევ ორჯერ მოიქნია სახიფათოდ, ხოლო 35-ე წუთზე გოლის გატანის რეალური შანსი ნაზარენკომ გაუშვა ხელიდან და ტაიმის ბოლოს დაისაჯნენ კიდეც.

42-ე წუთზე ანდრეა პირლომ საჯარიმოში ჩაკიდა და დი ნატალემ თავით გადაგზავნა ბურთი ალექსანდრ შოვკოვსკის კარში — 0:1.

მეორე ტაიმში უკრაინელებმა დაწოლა კიდევ უფრო გააძლიერეს და 20 წუთში ბუფონს სამჯერ მოუხდა გადახტომა — ორჯერ შევჩენკოს და ერთხელაც ანატოლი ტიმოშჩუკს არ დაანება გატანა.

თბილისური მატჩისგან განსხვავებით, შევჩენკო ძალიან აქტიური იყო, გოლს იმსახურებდა და გაიტანა კიდეც — 71-ე წუთზე ტიმოშჩუკის ჩაწოდებული სტანდარტულის შემდეგ საჯარიმოში ბურთი აიბლანდა და შევჩენკომ შემობრუნებით გაიტანა.

უკრაინა სამი ქულისკენ გაიქაჩა და... ფრეც დაკარგა — 79-ე წუთზე რუსოლი ცენტრისკენ ამოწეულ მცველებს ჩამორჩა და დი ნატალე, ყველას რომ თამაშგარეში ეგონა, მეკარესთან პირისპირ დარჩა — აპენინელმაც გამარჯვების გოლი მშვიდად გაიტანა.

„ეს იყო ჩემი საუკეთესო დღე ცხოვრებაში. ამ გოლებს დედაჩემს ვუძღვნი, რომელიც საავადმყოფოშია. მადლობა დონადონის, რომელიც მენდო. ვფიქრობ, გოლებით სამაგიერო გადავუხადე“ — გახარებული იყო ნამატჩევს დი ნატალე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


ანტონიო დი ნატალე
AFP


რობერტო დონადონი

## ლიტვა 72 წლის წინ
## იაკობსენმა იწვალა, იწვალა და...

**ლიტვა 2:1 ფარერები**

1:0 იანკაუსკასი (8), დანილიავიჩუსი (53), რ. იაკობსენი (90)
ლიტვა: კარჩემარსკასი, შემბერასი, კლიმიავიჩუსი, სკერლა, ალუნდერისი, ივაშკიავიჩუსი, შ. მიკოლიუნასი (ველიჩკა 32), დ. ჩესნაუსკისი (კალინასი 31), კშანავიჩიუსი, ე. იანკუასკასი (კუჩისი 86), ტ. დანილიავიჩუსი
მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი
ფარერები: მიკელსენი, ბენიამინსენი, დანიელსენი, ჰოლსტი (ჰ. სამუელსონი 74), ი. იაკობსენი, ტომსენი, ს. სამუელსონი, კ. იაკობსენი (ფლემუტი 84), ოლსენი, ბორგი, რ. იაკობსენი
მწვრთნელი: მარტინ ოლსენი
გაფრთხილება: ალუნდერისი (21), ბენიამინსენი (23), რ. იაკობსენი (33), ოლსენი (36), დანიელსენი (50), კშანავიჩიუსი (63), კუჩისი (90)
მსაჯი: ცვეტან გეორგიევი (ბულგარეთი)
4 000 მაყურებელი

**ლიტვამ** ამ შესარჩევ ციკლში პირველად გაიტანა ერთ მატჩში ორი ბურთი, რომელიც გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა და უკვე 10 ქულას მოუყარა თავი. ფარერებმა კი მხოლოდ მესამე ბურთი მიითვალა, ქულები კი... უკაცრავად.

ბალტიისპირელთა მწვრთნელმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა აქცენტი სწრაფ გოლზე გააკეთა და ჩანაფიქრი გამოუვიდა კიდეც — მე-8 წუთზე არუნას კლიმიავიჩუსის დარტყმული იაკუპ მიკელსენმა ახლოში მოიგერია, ბურთთან პირველი გამოცდილი ედგარას იანკაუსკასი გაჩნდა და მეათე სანაკრებო გოლი შეაგდო.

ლიტველთა მეორე, თავის მხრივ, მეთორმეტე სანაკრებო კი ტომას დანილიავიჩუსის ანგარიშზეა — ამ გოლით დანილიავიჩუსი ლიტველთა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს, ანტანას ლინგისს დაეწია, რომლის რეკორდი შორეულ 1935 წელს შედგა.

ლიტველთა მეორე გოლამდე კი კუნძულელებს სამჯერ მართებდათ გატანა, მაგრამ როგვი იაკობსენმა ერთხელ კარს ააცილა, ორჯერ კი მეკარემ აჯობა.

მოუსვენარმა კუნძულელმა თავდამსხმელმა თავისი მაინც გაიტანა, თუმც მხოლოდ მსაჯის მიერ წარმატებულ წუთებზე და კუნძულელებმაც ქულის აღების ბოლო შანსი ხელიდან გაუშვეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 9 | 7 | 0 | 2 | 17:7 | 21 |
| იტალია | 9 | 6 | 2 | 1 | 15:7 | 20 |
| საფრანგეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:3 | 19 |
| უკრაინა | 8 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 13 |
| ლიტვა | 9 | 3 | 1 | 5 | 7:11 | 10 |
| საქართველო | 9 | 2 | 1 | 6 | 14:15 | 7 |
| ფარერები | 9 | 0 | 0 | 9 | 3:29 | 0 |

**13 ოქტომბერი**
იტალია — საქართველო
შოტლანდია — უკრაინა
ფარერები — საფრანგეთი

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



ივიცა დრაგუტინოვიჩს სიმაოსგან არა, მაგრამ ლუიშ ფელიპე სკოლარისგან კი მოხვდა



ამ ეპიზოდში დავით ლორია უძლური იყო

AFP

## რა უნდა პორტუგალიას?

A ჯგუფი

**პორტუგალია 1:1 სერბეთი**

1:0 სიმაო (11), 1:1 ივანოვიჩი (86)

**პორტუგალიამ** ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა, ექვსი ქულა დაკარგა და მესამე ადგილს ვერ ასცდა. აგვისტოში სომხეთთან მატჩში აგებდნენ და გაათანაბრეს. წინა შაბათს პოლონეთს 2:1-ს უგებდნენ და გოლი 87-ეზე გაუშვეს. გუშინწინ კი სერბეთს ამარცხებდნენ, მაგრამ 88-ე წუთზე ბრანისლავ ივანოვიჩმა გაათანაბრა.

ისეთი დაძაბული თამაში იყო, რომ მატჩის ბოლოს ბიჭებმა ფეხბურთს თავი დაანებეს და ძიძგილაობაზე გადავიდნენ, რაც ლუიშ ფელიპე სკოლარისა და ივიცა დრაგუტინოვიჩის ჩხუბით დასრულდა.

მასპინძლები მეთერთმეტე წუთზე დაწინაურდნენ — კრიშტიანუ რონალდუ წააქციეს, სიმაო საბროსამ კი ჯარიმა გაიტანა. მერე კუზმანოვიჩს შეეძლო გათანაბრება, მაგრამ პეტი ბურთს გადაეფარა. ნუნუ გომეშის დარტყმული ძელს მოხვდა, რონალდუმ კი პირველ ტაიმში ორი მომენტი ვერ გამოიყენა.

შესვენების შემდეგ სერბებმა უკეთ ითამაშეს. რიკარდუს შეცდომით კოვაჩევიჩმა ვერ ისარგებლა, მაგრამ მატჩის მიწურულს ბრანისლავ ივანოვიჩმა სტანკოვიჩის შესრულებული საჯარიმოთი იხეირა. პორტუგალიელები მარკუს მერკს მისცვივდნენ, თამაშგარე იყოო, მაგრამ მსაჯმა გოლი ჩათვალა.

**ყაზახეთი 2:2 ბელგია**

0:1 გერაერტსი (12), 0:2 მირალასი (23), 1:2 ბიაკოვი (39), 2:2 სმაკოვი (74პ)

ბელგიისთვის ყაზახეთი კერკეტი გამოდგა — შინაც ვერ მოუგო (0:0) და სტუმრად ორბურთიანი უპირატესობა გაანიავა.

მასპინძლები პირველ ტაიმში აბდაუბდად თამაშობდნენ და თერთმეტ წუთში ორი გოლი გაუშვეს. კევინ მირალასმა მცველს პასი ჩაუჭრა და ბურთი კარელ გერაერტსს მიაწოდა, რომელმაც დავით ლორიას გაუტანა. ყაზახებმა გასათანაბრებლად გაიწიეს, მაგრამ კონტრშეტევაზე ბელგიამ იხეირა. მირალასის დარტყმული ძელს მოხვდა და დამატებაზე მანვე იყოჩაღა — 0:2.

მასპინძლები ტაიმის მიწურულს გამოფხიზლდნენ, დმიტრი ბიაკოვმა მცველი ჩამოიშორა და კოხტა გოლი გამოუვიდა.

შესვენების შემდეგ ბელგიელები აირივნენ, ანერვიულდნენ და შეცდომებს უმატეს. სტუმრები რამდენჯერმე მეკარემ იხსნა, მაგრამ 76-ე წუთზე ჟუმასკალიევი წააქციეს და სამატ სმაკოვმა პენალტით გაათანაბრა.

**ფინეთი 0:0 პოლონეთი**

ფინეთმა ველარ იყოჩაღა ისე, როგორც შარშან, როცა პოლონეთი სტუმრად 3:1 დაამარცხა. მასპინძლებს რომ მოეგოთ, მეტოქეს პირველ ადგილს წაართმევდნენ, მაგრამ ლეო ბეენჰაკერის გუნდმა დაცვაში ივარგა.

მარიუშ ლევანდოვსკის დასაწყისშივე ჰქონდა ორი მომენტი, მაგრამ იუსი იასკელაინენმა აჯობა, მერე კი ალექსეი ერიომენკოს არტურ ბორუცმა აუღო. პოლონელთა მეკარემ დანიელ შელუნდასაც არ გაატანინა, ხოლო ტაიმის მიწურულს სტუმრებმა კრჟინოვეკის და შმოლარეკის დარტყმებით უპასუხეს.

შმოლარეკმა შესვენების შემდეგაც ვერ ივარგა, ფინელი ერიომენკოს ფეხიდან კი ბურთი ძელს მოხვდა.

მასპინძელთა კარის ძელი მარეკ საგანოვსკიმ შეატოკა და ამის მერე გუნდები ფრისკენ წავიდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 11 | 6 | 3 | 2 | 17:9 | 21 |
| ფინეთი | 11 | 5 | 4 | 2 | 11:6 | 19 |
| პორტუგალია | 10 | 4 | 5 | 1 | 19:9 | 17 |
| სერბეთი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:8 | 16 |
| ბელგია | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 11 |
| სომხეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 4:8 | 8 |
| ყაზახეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8:15 | 7 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

## ხალკიასობა ოსლოში

C ჯგუფი

**ნორვეგია 2:2 საბერძნეთი**

0:1 კირიაკოსი (7), 1:1 კარეუ (11), 1:2 კირიაკოსი (29), 2:2 რიისე (39)

**ეს** თამაში კონსტანტინოს ხალკიასმა გაახალისა. ბერძენთა მეკარემ ისეთი რამ ჩაიდინა, რომ ოტო რეჰაგელს ასე ალბათ ევრო 2004-ის ფინალში არ უნერვიულია. ნორვეგიელებმა ხალკიასი შეცდომებისთვის მხოლოდ ორჯერ დასაჯეს, არადა, ხუთი-ექვსი მაინც უნდა გაეტანათ და პირველ ადგილზე გასულიყვნენ.

ბერძნები მეშვიდე წუთზე კუთხურის შედეგად დაწინაურდნენ — კარაგუნისმა ჩააწოდა, კირიაკოსმა კი ნახტომში თავურით შეაგდო.

მასპინძლებმა კუთხურითვე გაათანაბრეს. ხალკიასი ისე „კარგად" გამოვიდა კარიდან, რომ კარეუს თავით გატანა არ გასჭირვებია.

თხუთმეტ წუთში სტუმრები ისევ წინ გავიდნენ და კვლავ კირიაკოსმა იყოჩაღა. თავისივე დარტყმის შემდეგ ძელიდან უკუგდებულ ბურთს მიუსწრო და ერთი მეტრიდან გაიტანა. ხალკიასმა კი კირიაკოსის გარჯა წყალს გაატანა და 30 მეტრიდან დარტყმული ბურთი გაუშვა — რიისემ ცაციით „გაისროლა", ხოლო ბერძენთა მეკარემ უცნაური მოძრაობით სცადა მოგერიება.

**თურქეთი 3:0 უნგრეთი**

1:0 უნალი (68), 2:0 აურელიო (72), 3:0 ალტინტოპი (90)

ზოლტან გერას გაძევებამდე მასპინძლებმა ვერ გატეხეს უნგრეთი, რომელმაც აგვისტოში ამხანაგურ მატჩში იტალია 3:1 დაამარცხა. გერა პირველ ტაიმში გააფრთხილეს, მეორეში კი საჯარიმოში მსახიობურად წაიქცა და მსაჯს კიდევ ერთი ბარათი გამოსტყუა.

თურქებმა პირველად ითამაშეს შინ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ. ისინი ფიფამ დასაჯა 2005 წელს შვეიცარიის ნაკრებთან ჩხუბის გამო.

კაცნაკლულმა უნგრეთმა გერას გაძევებიდან ხუთ წუთში გოლი გაუშვა — მარცხნიდან საჯარიმოში შესულმა თუნჯაიმ ბურთი უნალს თავზე დაასვა და ანგარიში გაიხსნა.

გათურქებულმა ბრაზილიელმა მეჰმეთ აურელიომ მალე მეორე გაიტანა — კუთხურის შემდეგ ბურთი მას მიუვიდა, ის კი კარის ხაზიდან ხუთ მეტრში აღმოჩნდა და შანსი არ გაუშვა.

ბოლოს კი ჰალილ ალტინტოპმა ჩაწოდება სცადა და ახლო კუთხეში გოლი გამოუვიდა.

**ბოსნია 0:1 მოლდოვა**

0:1 ბუგაევი (22)

მოლდოვამ შესარჩევში პირველი გამარჯვება მიითვალა, თან ბოსნიასთან, რომელმაც თვით თურქეთიც დაამარცხა სახლში.

წაგებამ ბოსნიელების ჯგუფიდან გასვლის შანსი გვარიანად შეამცირა, მოლდოვას კი 1994 წლის შემდეგ ევროშესარჩევში სტუმრად არ მოეგო.

იგორ დობროვოლსკის გუნდი მთელი ტაიმის განმავლობაში სჯობდა მასპინძლებს და მეკარე ადან გუშომ არაერთი ბურთი მოიგერა.

სტუმარმა იგორ ბუგაევმა ტაიმის შუაში გაიტანა — მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი გუშოს კარში ახლოდან შეაგდო. ბოსნიელებმა მეტოქის მეკარე პირველად მე-40 წუთზე შეაწუხეს, მაგრამ შესვენების შემდეგ მოლდოველთა გოლკიპერ ნიკოლაი კალანჩას საქმე გამოულევლად ჰქონდა. მასპინძელთა ფორვარდებმა ორჯერ ძელს გაარტყეს ბურთი და თამაშის ბოლოს მოწინაალმდეგის საჯარიმოდან არ გამოსულან, თუმც გოლი ვერ გაიტანეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 14:7 | 19 |
| თურქეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 21:8 | 17 |
| ნორვეგია | 9 | 5 | 2 | 2 | 20:8 | 17 |
| ბოსნია | 9 | 4 | 1 | 4 | 14:16 | 13 |
| უნგრეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 8:17 | 9 |
| მოლდოვა | 9 | 1 | 2 | 6 | 5:16 | 5 |
| მალტა | 8 | 1 | 2 | 5 | 7:17 | 5 |

კონსტანტინოს ხალკიასი



AFP

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# ორი შვილი, ორი გოლი

**D ჯგუფი**

**სლოვაკეთი 2:5 უელსი**

1:0 მინტალი (12), 1:1 ისტვუდი (22), 1:2, 1:3 ბელამი (34, 41), 2:3 მინტალი (57), 2:4 დურიცა (78ხ.კ.), 2:5 დევისი (90)

**შარშან** კარდიფში უელსმა 1:5 წააგო, ტრნავაში კი მეტოქეს საკადრისი „ხურდა“ დაუბრუნა.

დუბლი შეასრულა კრეიგ ბელამიმ, ვისაც ერთი კვირის წინ მეორე შვილი შეეძინა.

სტუმართა მცველის შეცდომას მოჰყვა სლოვაკთა პირველი გოლი, რომელიც მარეკ მინტალმა მიითვალა და ამის მერე უელსელთა მეკარემ უეინ ჰენესიმ ორჯერ იხსნა კარი.

კრეიგ ბელამის წამოწყებული კომბინაცია ჯოზეფ ლედლიმ გააგრძელა, ფრედი ისტვუდმა კი გოლით დაასრულა.

ლედლისვე პასით ბელამიმ სტუმრები დააწინაურა, როცა მეკარე შტეფან სენეცკის თავზე გადაავლო ბურთი. იშტაზე მოსულმა უელსელებმა ტაიმის მიწურულს მესამეც შეაგდეს და გოლი კვლავ ლედლი-ბელამის კომბინაციას მოჰყვა. „ვესტ ჰემის“ ფორვარდმა მახვილი კუთხიდან გაიტანა.

მინტალმა მეორე ნახევრის დასაწყისშივე შეამცირა სხვაობა — მარეკ ჩეხის დაგორებულ ბურთს უეინ ჰენესის კარში მიუჩინა ადგილი და სლოვაკებს ქულის გადარჩენის იმედი გაუჩნდათ, მაგრამ იან დურიცამ ბელამის ჩაწოდების შემდეგ საკუთარი მეკარე დაამწუხრა და ორბურთიანი სხვაობა აღდგა.

კარდიფში ხუთი გოლის გამშვებ უელსელებს მეხუთე გოლი სწყუროდათ და საიმონ დევისმა თავისიანებს წყურვილი მოუკლა — შორიდან დარტყმით გაიტანა.

**ჩეხეთი 1:0 ირლანდია**

1:0 იანკულოვსკი (15)

ჩეხეთმა მდევარ ირლანდიას მოუგო, ექვსი ქულით გაუსწრო და ევროპის ჩემპიონატს კიდევ უფრო მიუახლოვდა.

„ახლა ყველაფერი ჩვენს ხელთაა“ — თქვა კარელ ბრიუკნერმა, რომელსაც დისკვალიფიკაციის გამო იან კოლერი აკლდა და შეტევაში ამიტომაც გაუჭირდა, მაგრამ მცველმა მარეკ იანკულოვსკიმ უშველა — საჯარიმოს ხაზთან იაროსლავ პლასილთან გათამაშებული „კედლის“ შემდეგ „მილანის“ მცველმა შეი გივენს გაუტანა.

მალევე ლიბორ სიონკოს შეეძლო სხვაობის გაზრდა, რომელმაც მაკრატელა დაარტყა, მაგრამ ააცილა.

38-ე წუთზე სტივ სტონტონმა ჯონ ოში სტეფან ჰანტით შეცვალა და ჩეხმა ქომაგებმაც სტვენა ატეხეს. სწორედ ჰანტი „შეასკდა“ მასპინძელთა მეკარეს პეტრ ჩეხს შარშან პრემიერლიგის მატჩში და ნახევარი სეზონი გამოატოვებინა. გულშემატკივრებიც ამიტომ უსტვენდნენ ირლანდიელს ბურთთან ყოველი შეხებისას.

ბიჭმა ალბათ ვერ გაუძლო და მეორე ტაიმში უხეშობისთვის გააძევეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**კვიპროსი 3:0 სან მარინო**

1:0 მაკრიდესი (15), 2:0, 3:0 ალონეფტისი (41, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 8 | 7 | 1 | 0 | 31:4 | 22 |
| ჩეხეთი | 9 | 6 | 2 | 1 | 19:4 | 20 |
| ირლანდია | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 14 |
| სლოვაკეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 20:20 | 10 |
| უელსი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:13 | 10 |
| კვიპროსი | 8 | 3 | 1 | 4 | 13:16 | 10 |
| სან მარინო | 9 | 0 | 0 | 9 | 1:43 | 0 |


კარელ ბრიუკნერი

AFP


ანდრეი არშავინი და მაიკლ ოუენი

AFP

# ოუენი: დარჩა ცხრა

**E ჯგუფი**

**ინგლისი 3:0 რუსეთი**

1:0, 2:0 ოუენი (7, 31), 3:0 ფერდინანდი (84)

**რუსეთმა** პირველი მარცხი იგემა, ხოლო მათი ნაქები დაცვა, რომელმაც რვა მატჩში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა, მაიკლ ოუენმა დააწიოკა. ეს კი არა, რიო ფერდინანდმაც მოიცალა შეტევისთვის და მესამე გაიტანა.

„ნიუკასლის“ ფორვარდმა ოუენმა 40 სანაკრებო გოლი მოაგროვა 85-ე მატჩში. მასზე მეტი ბობი ჩარლტონს (49), გარი ლინეკერს (48) და ჯიმი გრივსის (44) გაუტანიათ.

ნიუკასლელი ჯერ 27 წლისაა და ჩარლტონის რეკორდიც ალბათ ერთ-ორ წელიწადში გაცვდება. აქვე უნდა ვთქვათ, რომ გრივსმა 57 მატჩი ითამაშა, ლინეკერმა 80, ხოლო ბობი ჩარლტონმა 106.

„მეამაყება, რომ უკვე ათი წელია, ნაკრების ფეხბურთელი ვარ და მეორმოცე გოლიც სასიხარულოა, მაგრამ მთავარია, ჯგუფიდან გავიდეთ — თქვა მაიკლ ოუენმა.

ინგლისმა ნახევარ საათში მოამთავრა საქმე. „ნიუკასლის“ თავდამსხმელმა მეშვიდე წუთზე ხუთი მეტრიდან გაიტანა, მერე კი ძლიერი დარტყმით შეჭედა ბურთი ხარიხის ქვეშ. ხოლო რიო ფერდინანდმა იმდენი მოახერხა, რომ ლამის პირისპირ გავიდა მეკარე ვიაჩესლავ მალაფეევთან და ახლო კუთხეში შეაგდო.

„ანგარიში ორ გუნდს შორის კლასში სხვაობას ასახავს“ — თქვა დამარცხებულმა გუუს ჰიდინკმა.

**მაკედონია 1:1 ესტონეთი**

0:1 პიროია (17), 1:1 მაზნოვი (30)

ესტონეთმა პირველი ფრე სკოპიეში მიითვალა, სადაც ცოტა ხანი უგებდა კიდეც მასპინძლებს. რაიო პიროიამ მეჩვიდმეტე წუთზე გახსნა ანგარიში, როცა მარჯვენა ფეხით ლონივრად დაარტყა და მეკარე პეტარ მილოშევსკი უშანსოდ დატოვა. მაკედონიელებმა მალე გაათანაბრეს. დარკო ტასევსკიმ კუთხურიდან ჩააწოდა, გორან მაზნოვმა კი თავით გაიტანა.

სტუმრებს პირველ ტაიმში დაწინაურება შეეძლოთ, მაგრამ პიროიამ ნაკუთხურალ ბურთი ახლოდან კარში ვერ შეაგდო.

მასპინძლებს შესვენების შემდეგ არაერთი მომენტი ჰქონდათ. მაზნოვმა ათი მეტრიდან ააცილა, მოგვიანებით კი თავით დაარტყა და ისევ არაზუსტად. ბოლოს აკო სტოიკოვს მართებდა გატანა, მაგრამ მაზნოვს მიჰბაძა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ანდორა 0:6 ხორვატია**

0:1 სრნა (35), 0:2, 0:3 მ. პეტრიჩი (40, 45), 0:4 კრანჩარი (49), 0:5 ედუარდო სილვა (55), 0:6 რაკიტიჩი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 9 | 7 | 2 | 0 | 24:4 | 23 |
| ინგლისი | 9 | 6 | 2 | 1 | 18:2 | 20 |
| რუსეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:4 | 18 |
| ისრაელი | 9 | 5 | 2 | 2 | 17:10 | 17 |
| მაკედონია | 9 | 2 | 2 | 5 | 7:11 | 8 |
| ესტონეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 3:18 | 4 |
| ანდორა | 9 | 0 | 0 | 9 | 2:36 | 0 |

## კრივი აფრენამდე

**ჩრდილოეთ ირლანდიის** ფეხბურთის ასოციაცია გამოიძიებს ამბავს, რომელიც რეიკიავიკში მოხდა. ირლანდიელებმა ოთხშაბათს ისლანდიაში 1:2 წააგეს ბოლო წუთზე კიტ გილესპის ავტოგოლით. ეტყობა, ბიჭები აიჭრნენ და რეიკიავიკის აეროპორტში, თვითმფრინავში ორმა ფეხბურთელმა ერთმანეთს მუშტები დასცხო. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ ივაჟკაცა.

## პენალტი ანუ კარატე

**ვენესუელაში** მასპინძლები ამხანაგურად ეთამაშნენ პანამას და მატჩი კარატეს ილეთებით დასრულდა. სტუმრები 1:0-ს იგებდნენ, მსაჯმა ექვსი წუთი დაამატა და ვენესუელას პენალტი აჩუქა. თერთმეტი მეტრიდან ჯანკარლო მალდონადომ გაათანაბრა და ამის მერე ხელჩართული ჩხუბი ატყდა. მასპინძელ გაბრიელ ჩიკეროს კარიდან ბურთის გამოტანა სურდა, პანამელმა მეკარემ ხაიმე პენედომ კი არ დაანება. ჩიკერომ და პენედომ დაიწყეს და ჩხუბი ჯგუფურში გადაიზარდა. ყველაზე ნიჭიერებმა კარატეს ილეთებიც გამოიყენეს.

პენედოს გული წაუვიდა და საავადმყოფოში გააქანეს დაჟეჟილ თანაგუნდელთან ფელიპე ბალოისთან ერთად.

## უბრალონი

**„კატანიას“** მცველი ჯანლუკა ფალსინი და ყოფილი მეკარე არმანდო პანტანელი გაამართლეს. მათ ბრალად თამაშის „ჩაწყობა“ ედებოდათ. ეჭვმიტანილი იყო ორი მატჩი — „ასკოლთან“ 3:3 და „სამპდორიასთან“ 0:1. „კატანია“ 3:1-ს იგებდა და პანტანელის შეცდომის გამო ორი გოლი გაუშვა. ასევე იყო „სამპდორიასთანაც“, რომელშიც მეკარე ერთი შეცდომას დასჯერდა. ფალსინის ამ შეხვედრებში არ უთამაშია, მაგრამ ეჭვობდნენ, რომ ფული დადო შედეგზე. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბიჭებს არ უთაღლითიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# არაგონესი გაქრა...

F ჯგუფი

**ესპანეთი 2:0 ლატვია**

**1:0 ხავი (12), 2:0 ფ. ტორესი (84)**

**ლუის არაგონესმა** ჟურნალისტები პირლია დატოვა — ნამატჩევს პრესკონფერენციაზე მიბრძანება არ იკადრა. ისლანდიასთან ფრით გამწარებული ქომაგები ლატვიის გაბდღვნას ელოდნენ, მაგრამ ნაკრებმა ისე ითამაშა, რომ „მარკამ“ დაწერა, ეს გამარჯვება უნდა დავივიწყოთო.

ხავიმ მე-13 წუთზე დააწინაურა მასპინძლები, როცა ხოაკინის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ კარის ხაზიდან შეაგდო ბურთი. გულშემატკივრების გოლების წვიმის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდნენ, თუმც თამაშის ბოლომდე ლოდინი მოუხდათ მეორე გოლის სანახავად.

გამქრალ არაგონესზე თქვეს, გადადგაო, მაგრამ ფედერაციის პრესმდივანმა ხორხე კარეტერომ უარყო: „მწვრთნელი ნაკრებიდან არ წასულა. პრესკონფერენციაზე მოსვლას კი ვერავინ დაავალებს. მან ასე გადაწყვიტა და პატივი უნდა ვცეთ“.

ფეხბურთელებიც უარობდნენ კომენტარებს, რადგან ისლანდიასთან ფრის მერე მედიამ ნაკრები გალანძღა, თუმც დავიდ ალბელდამ ორი სიტყვა გაიმეტა და მწვრთნელს უქებლა: „გასაგებია, რომ ხალხი უკმაყოფილოა, მაგრამ ჩვენც არ გვილხინს. ყველანი ერთ მუშტად უნდა შევიკრათ. მეჩვენება, თითქოს არავის არ სურს ევროპის ჩემპიონატზე ესპანეთის გასვლა“.

ხოაკინმა კი მოკლედ მოჭრა: „გაგვიჭირდა, მაგრამ მთავარია, რომ სამი ქულა ავიღეთ“.

**ისლანდია 2:1 ჩრდ. ირლანდია**

**1:0 ბიორნსონი (6), 1:1 ჰილი (72პ), 2:1 გილესპი (90ს.კ.)**

ჩრდილოირლანდიელ კიტ გილესპის არ გაუმართლა — ბოლო წუთზე საკუთარ კარში ბურთი ჩაჭრა და ირლანდიელები ზედიზედ მეორე მატჩში დამარცხდნენ. შაბათს მათ ლატვიაში (0:1) წააგეს, ახლა ისლანდიასთან და ევრო 2008-ის საგზური ხელიდან უსხლტებათ. ლატვიასთანაც თამაშის ბოლოს კრის ბეირდმა თავის კარში გაიტანა.

ისლანდიელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და ტორვალდსონის პასით ბიორნსონმა ანგარიში გახსნა. ამის მერე სტუმრებმა ტემპს უმატეს და ორი მომენტი შექმნეს. ჯერ გარი კლინგმა ააცილა, მერე კი ჯონი ევანსმა ასპროცენტიანი საგოლე ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმის დასაწყისში კრის ბრანტმა 25 მეტრიდან დასცხო ბურთს და მასპინძელთა კარის ძელს გაარტყა. მაიკლ დაფის თავური არნი არასონმა მოიგერია, რასაც მალე ისლანდიელთა კარში პენალტი მოჰყვა. დევიდ ჰილიმ შესარჩევში მეთორმეტე გოლი გაიტანა და ჩრდილოირლანდიელები გაახარა, მაგრამ კიტ გილესპის უიღბლობამ სტუმრებს ქულა მაინც დააკარგვინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**დანია 4:0 ლიხტენშტაინი**

**1:0 ნორდსტრანდი (3), 2:0 ლაურსენი (12), 3:0 ტომასონი (18), 4:0 ნორდსტრანდი (36)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:4 | 19 |
| ესპანეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 16:7 | 19 |
| ჩრ. ირლანდია | 9 | 5 | 1 | 3 | 14:11 | 16 |
| დანია | 8 | 4 | 2 | 2 | 13:5 | 14 |
| ისლანდია | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | 8 |
| ლატვია | 8 | 2 | 0 | 6 | 5:9 | 6 |
| ლიხტენშტაინი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:25 | 4 |



მეგოლეები: ხავი და ფერნანდო ტორესი

AFP

# მარიო მელხიოტს ესროლეს

## ბერბატოვი სტოიჩკოვია

G ჯგუფი

**ალბანეთი 0:1 ჰოლანდია**

**0:1 ვან ნისტელროი (90)**

**„კარგი** ფეხბურთისთვის საჭიროა, რომ ორივე გუნდმა ითამაშოს, მაგრამ ალბანეთი დაცვაში იდგა და ასეთ მეტოქეს გოლს იოლად ვერ გაუტან — თქვა ჰოლანდიელთა მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა — მიუხედავად ამისა, ჩვენ გამარჯვება დავიმსახურეთ, რადგან ბოლომდე ვიბრძოლეთ“.

მსაჯმა მაიკ რაილიმ მატჩი ორი წუთით ადრე დაასრულა, რაკი ალბანელი ფანები გოლმა გააბრაზა და გაავებულებმა მაშხალების სროლა დაიწყეს. ცეცხლმა თავზე გადაუფრინა მარიო მელხიოტს და გვარიანადაც შეაშინა, სროლის დაწყებამდე წუთით ადრე კი რუუდ ვან ნისტელროიმ მარცხენა ფლანგიდან მიღებული ბურთი ცაციით შორ კუთხეში ჩაჭრა.

ალბანეთი დაცვაში იდგა, მაგრამ კონტრშეტევაზე რამდენიმე მომენტი შექმნა, ჰოლანდიელებს კი ჩვეულად ბურთის გაგორება გაუჭირდათ. პირველი ტაიმის მიწურულს მელხიოტმა საკუთარ კარში თავით გაიტანა, თუმც მსაჯმა ალბანელი ფეხბურთელი დააჯარიმა, რომელმაც მელხიოტს ხელი ჰკრა და გოლი არ ჩათვალა.

რობინ ვან პერსი შესვენების შემდეგ გამოცვალეს, რადგან ყვითელი ბარათი მიიღო და მომდევნო მატჩში რუმინეთთან ვერ ითამაშებს.

მასპინძელმა ალბან ბუშიმ შორიდან დაურტყა ვან დერ სარს, ისევე, როგორც უესლი სნეიდერმა არიენ ბეკაის ორჯერ, მაგრამ მეკარეებმა იყოჩაღეს. 87-ე წუთზე დამხვდურებს ლორიკ კანა გაუძევეს, რითაც ისარგებლეს კაცმეტმა სტუმრებმა და გაიტანეს.

**ბულგარეთი 3:0 ლუქსემბურგი**

**1:0, 2:0 ბერბატოვი (27, 28), 3:0 მ. პეტროვი (54პ)**

დიმიტარ ბერბატოვს ერთი წუთი დასჭირდა ორი გოლის შესაგდებად. ეს არც ისე ძნელია, როცა მეტოქე ლუქსემბურგია. მართალია, ბულგარელებს რუმინეთზე და ჰოლანდიაზე მატჩით მეტი აქვთ ნათამაშები, მაგრამ ლიდერები ოქტომბერში ერთმანეთს ხვდებიან და დიმიტარ პენევის გუნდს ჯგუფიდან გასვლის შანსი აქვს.

ბერბატოვი მეოცე წუთზე მეკარესთან პირისპირ გავიდა და ათი მეტრიდან ააცილა. შვიდი წუთის შემდეგ კი კარგად დაუმიზნა, როცა სტილინ პეტროვის ჩაწოდებულს თავი დაჰკრა. „ტოტენჰემის“ ფორვარდმა მალევე მეორეც მიაყოლა — ახალგაზრდა ეველინ პოპოვის პასით სხვაობა ორამდე, ხოლო სანაკრებო გოლების რაოდენობა 37-მდე გაზარდა, რითაც ხრისტო სტოიჩკოვს გაუტოლდა.

„სასიხარულოა, სტოიჩკოვთან გატოლება, მაგრამ ეს მთელი გუნდის დამსახურებაა — თქვა თავდამსხმელმა — ფეხბურთი გუნდური თამაშია. ერთნი პასებს აკეთებენ, სხვებს კი გოლები გააქვთ“.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბერბატოვი საპენალტედ წააქციეს და მარტინ პეტროვმა გაიტანა.

„გამარჯვება სასიხარულოა, მაგრამ მაინც მაღელვებს ის ფაქტი, რომ ბევრ მომენტს ვფლანგავთ“ — განაცხადა მასპინძელთა მწვრთნელმა დიმიტარ პენევმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**სლოვენია 1:0 ბელარუსი**

**1:0 ლავრიჩი (33)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 17:5 | 20 |
| ჰოლანდია | 8 | 6 | 2 | 0 | 11:2 | 20 |
| ბულგარეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 14:6 | 18 |
| სლოვენია | 9 | 3 | 1 | 5 | 9:12 | 10 |
| ალბანეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:7 | 9 |
| ბელარუსი | 9 | 2 | 1 | 6 | 11:19 | 7 |
| ლუქსემბურგი | 9 | 0 | 0 | 9 | 1:20 | 0 |



ჰოლანდია რუუდ ვან ნისტელროიმ იხსნა

AFP



მარკო ვან ბასტენი

## 2009 წლის ევროპის U21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### I ჯგუფი

ალბანეთი 0:1 იტალია
ხორვატია 3:2 აზერბაიჯანი
ფარერები 0:2 საბერძნეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:4 | 9 |
| იტალია | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ხორვატია | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 9 |
| ალბანეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 2:5 | 6 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |
| ფარერები | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | 0 |

### II ჯგუფი

ჩეხეთი 8:0 ლიხტენშტაინი
სომხეთი 0:2 უკრაინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 9:1 | 4 |
| სომხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:7 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | 0 |

### III ჯგუფი

ბულგარეთი 0:2 ინგლისი
პორტუგალია 4:0 ჩერნოგორია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ჩერნოგორია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:8 | 3 |
| ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### V ჯგუფი

მაკედონია 1:0 ესტონეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ნორვეგია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |

### VI ჯგუფი

ლიტვა 0:0 სლოვენია
შოტლანდია 0:0 დანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:1 | 4 |
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| შოტლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლიტვა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |

### VII ჯგუფი

სლოვაკეთი 1:1 ავსტრია
ისლანდია 0:0 ბელგია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კვიპროსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ისლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ბელგია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

### VIII ჯგუფი

ლატვია 2:0 სან მარინო
უნგრეთი 2:1 სერბეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელარუსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| უნგრეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:3 | 9 |
| ლატვია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| სერბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:11 | 0 |

### IX ჯგუფი

მოლდოვა 1:0 ისრაელი
ლუქსემბურგი 1:2 ჩრ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრ. ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| მოლდოვა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ისრაელი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 3 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### X ჯგუფი

რუმინეთი 3:0 ბოსნია
მალტა 0:2 საფრანგეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ბოსნია | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| უელსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0:7 | 0 |

## ამხანაგური მატჩები

კანადა 1:1 კოსტა რიკა
ვენესუელა 1:1 პანამა
ბრაზილია 3:1 მექსიკა
კოლუმბია 1:0 პარაგვაი
პერუ 2:0 ბოლივია
ჰონდურასი 2:1 ეკვადორი





# მაურინიუ მიდის, ჰიდინკი მოდის

**ჟოზე მაურინიუ** შეიძლება „ჩელსიში" თავის უკანასკნელ სეზონს ატარებს. ინგლისური მედიის ვარაუდით, პორტუგალიელი, რომელიც უკვე მეოთხე სეზონია, „სტემფორდ ბრიჯზე" მწვრთნელობს, 2007-08-ის კამპანიის დასასრულს „ჩელსის" გამოემშვიდობება. არადა, კონტრაქტით, ჟოზეს რომან აბრამოვიჩის გუნდთან კიდევ ორი წლით უწევს თანამშრომლობა.

## ამას ინგლისში არავინ მალავს

ლუზიტანის ლონდონიდან წასვლის მიზეზი კი, ალბათ, ჰოლანდიელი გუუს ჰიდინკი იქნება. ეს მწვრთნელი „ჩელსის" პატრონ რომან აბრამოვიჩს მოსწონს და გაისად „ლურჯების" სათავეში სწორედ ჰიდინკის მიყვანას აპირებს. ინგლისურ პრესაში კი წერენ, რომ რუსეთის ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი ლონდონში სლავთა და ინგლისელთა ევროშესარჩევი მატჩის შემდეგ აბრამოვიჩს შეხვდა და „ჩელსის" სავარაუდო თავკაცობაზე ესაუბრა. მწვრთნელი რუსთა ნაკრებს იმ შემხთვევაში დატოვებს, თუ გუნდის ევრო 2008-ზე გაყვანა ვერ შეძლო.

„მაუ" კი „ჩელსის" ხელმძღვანელობასთან უბრადაა — პორტუგალიელს ურთიერთობა განსაკუთრებით პიტერ კინიონთან არ უვარგა, „ლურჯთა" აღმასრულებელ დირექტორთან და „სტემფორდ ბრიჯის" ერთ-ერთ ძლევამოსილ კაცთან.

მაურინიუს წლეულს ლონდონელთა უფერული თამაშისთვის მაგრად აკრიტიკებენ.

**ლადო ხომერიკი**



# ლიონის პალასიო

## ბევრი ფული იანვრისთვის

**არგენტინული** „ბოკა ხუნიორსის" ფორვარდი როდრიგო პალასიო გაისად საფრანგეთის ჩემპიონატში ითამაშებს.

არგენტინული „ტელამის" ცნობით, ფეხბურთელი „ლიონმა" იყიდა და მასში 10 მილიონ ევროზე მეტი გადაიხადა. თუმცა პალასიო ოლიმპიკელთა შემადგენლობაში ახლავე არ ჩაირიცხება — პატაგონიელმა დეკემბერში „ბოკასთან" ერთად საკლუბო მუნდიალზე უნდა ითამაშოს.

როდრიგო პალასიოს მიზანი „ბოკა ხუნიორსში" დარჩენა იყო, მაგრამ ფრანგებმა ფორვარდში მსუყე თანხა გადაიხადეს და...

პალასიოს ტრანსფერი იოლი მოსაგვარებელი სულაც არ ყოფილა. „ბოკა" ფეხბურთელის გაყიდვაზე მხოლოდ 17,5 პროცენტ უფლებას ფლობდა, დანარჩენი კი სხვა არგენტინულ კლუბებს — „ურაკანს", „ბანფილდს" და „ტრეს პროისოსს" — ეკუთვნოდა.

შემდეგ „ბოკას" წარმომადგენლები დატრიალდნენ და სხვა გუნდთაგან პალასიოს გასხვისებაზე უფლება გამოისყიდეს.

შეგახსენებთ, რომ პალასიოთი „ბარსელონაც" იყო დაინტერესებული.

**ლადო ხომერიკი**

# ათლეტური საპრიზოები

**მადრიდის** „ატლეტიკოს" უფროსობა გუნდის წახალისებას ფულადი პრემიებით აპირებს. იმ შემთხვევაში, თუ „ათლეტები" წლეულს პრიმერადივიზიონის ჩემპიონობას მოიგებენ, კლუბის თავკაცები 9 მილიონ ევროს გაიღებენ.

ლა ლიგაში მეორე ადგილიც საკმაოდ დიდი ჯილდოთი ფასდება — თუ „ატლეტიკომ" ვერცხლის მედლები მოიგო, ეს ჩემპიონთა ლიგაზე გასვლას ნიშნავს და „თეთრ-ალისფერთა" შემადგენლობა 6 მილიონი ევროთი დასაჩუქრდება.

ესპანეთის ჩემპიონატში მიღწეული მესამე ადგილისთვის „ათლეტები" ოთხმილიონნახევარს, ხოლო მეოთხე პოზიციისთვის სამმილიონნახევარ ევროს მიიღებენ.

ლა ლიგაში მესამე-მეოთხე ადგილზე გასული გუნდიც ჩემპიონთა ლიგაში ხვდება, ოღონდ „ატლეტიკოს" ამ შემთხვევაში საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა მოუწევს.

ესპანური კოპა დელ რეის მოგების შემთხვევაში „თეთრ-ალისფერები" 2 მილიონი ევროთი დასაჩუქრდებიან.

„ატლეტიკოს" უმთავრესი მიზანი გაისად ჩემპიონთა ლიგაზე მოხვედრა იქნება. ამისათვის გუნდი ზაფხულში რამდენიმე ახალი ფეხბურთელითაც გაძლიერდა.

**ლადო ხომერიკი**

# ლაციომ რომის გარეთ გაიხედა

## ახალი ფეხბურთელებით ახალ სტადიონზე

**რომის** „ლაციოს" პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო კლუბისთვის ახალი სტადიონის აშენებას აპირებს. მას ეს იდეა უკვე დიდი ხანია, უტრიალებს თავში, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, სერიოზულად დაიწყო ამაზე ფიქრი.



კლაუდიო ლოტიტო

მოგეხსენებათ, „ლაციო" „რომასთან" ერთად „სტადიო ოლიმპიკოზე" თამაშობს, მაგრამ „ბიანკოჩელესტის" საწვრთნელი ბაზა სტადიონიდან გაცილებით შორსაა, ვიდრე „რომას" „ტრიგორია". თანაც, „ლაციოს" ფანების დიდი ნაწილი „ოლიმპიკოდან" ასევე მოშორებით ცხოვრობს.

ლოტიტო ახალი სტადიონის რომიდან 45 კილომეტრის მოშორებით, „ლაციოს" ფანების „აკვნად" მიჩნეულ ვალმონტონეში აპირებს. იქვე იგეგმება ევროპის ყველაზე დიდი პარკის მშენებლობა. თუმცა „ბიანკოჩელესტის" პრეზიდენტს ჩანაფიქრის განხორციელება რომც გამოუვიდეს, ამ საქმეს ალბათ, სულ ცოტა, ორი წელი დასჭირდება.

„ყველამ უნდა გაიაზროს, თუ რა მნიშვნელოვანია ეს პროექტი. ბევრ წინააღმდეგობას გადავაწყდით, მაგრამ იმედია, ბარიერებს გადავლახავთ და საკუთარი სტადიონი გვექნება. არა მგონია, ვალმონტონეში რაიმე პრობლემა შეგვექმნას. არც ის დავივიწყოთ, რომ „ლაციოს" ფანების უმეტესობა რომის გარეთ ცხოვრობს" — თქვა ლოტიტომ.

„ბიანკოჩელესტი" უკვე იანვრის სატრანსფერო ფანჯარაზეც ფიქრობს. „ლაციოს" ახალი მეკარის მოყვანა და დაცვის გაძლიერება უნდა.

კლაუდიო ლოტიტო: „იანვრის სატრანსფერო ფანჯარა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. რამდენიმე ფეხბურთელს ვაკვირდებით, მაგრამ ყველაფერი კარგად უნდა გავთვალოთ, დრო ჯერ არის".

